



2025 წლის სახელმწიფო
ბიუჯეტის იანვარ-აპრილის
შესრულების

მიმოხილვა

საქართველოს პარლამენტის
საბიუჯეტო ოფისი

2025
მაისი

ძირითადი მაჩვენებლები (მლნ ლარი)

შემოსულობები - 8,693.3 მლნ ლარი

65.8%

6 თვის
გეგმის

31.5%

წლიური
გეგმის

გადასახდელები - 8,460.2 მლნ ლარი

61.9%

6 თვის
გეგმის

30.3%



წლიური
გეგმის

ნაშთის ცვლილება
233.1 მლნ ლარი


საოპერაციო სალდო
458.0 მლნ ლარი

მთლიანი სალდო
-352.2 მლნ ლარი


შემოსულობების და გადასახდელების კომპონენტები



გადასახადების სტრუქტურა





ბარჯების სტრუქტურა



სახელმწიფო ბიუჯეტის ძირითადი მაჩვენებლები

„საქართველოს 2025 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით, შემოსულობების წლიური გეგმა განსაზღვრულია 27,560.8 მლნ ლარის ოდენობით. 2025 წლის იანვარ-აპრილში მიღებული შემოსულობები 8,693.3 მლნ ლარს (წლიური გეგმის 31.5%) შეადგენს და წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს 347.4 მლნ ლარით (4.2%-ით) აღემატება.

2025 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით გადასახდელებს წლიური გეგმა განსაზღვრულია 27,941.7 მლნ ლარის ოდენობით. 2025 წლის იანვარ-აპრილში ბიუჯეტიდან გაწეული გადასახდელები 8,460.2 მლნ ლარს (წლიური გეგმის 30.3%) შეადგენს, რაც 583.6 მლნ ლარით (7.4%-ით) მეტია წინა წლის 4 თვის მაჩვენებელთან შედარებით.




სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობების 6 თვის გეგმა^[1] განსაზღვრულია 13,221.6 მლნ ლარით, ხოლო 4 თვეში მიღებული შემოსულობები გეგმის 65.8%-ს შეადგენს. შემოსულობების კომპონენტებს რაც შეეხება, 6 თვის გეგმის მიმართ, შესრულების კარგი მაჩვენებლები აქვს შემოსავლებსა (65.6%) და აგრეთვე, ვალდებულებების ზრდის კომპონენტს (62.3%), ხოლო არაფინანსური და ფინანსური აქტივების კლების მუხლებით შემოსულობები მაღალი მაჩვენებლებით (შესაბამისად, 80.8% და 93.6%) ხასიათდება.


სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელების 6 თვის გეგმა განსაზღვრულია 13,656.8 მლნ ლარის ოდენობით, 4 თვის ფაქტობრივი მაჩვენებელი კი გეგმის 61.9%-ს შეადგენს. რაც შეეხება 6 თვის გეგმის შესრულებას გადასახდელების კომპონენტების მიხედვით, 6 თვის გეგმის შესრულების მხრივ, ხარჯები კარგი მაჩვენებლით (64.6%) ხასიათდება, არაფინანსური აქტივების ზრდისა და ვალდებულებების კლების კომპონენტებს დაბალი მაჩვენებლები აქვს, (შესაბამისად, 46.5% და 57.1%), ხოლო ფინანსური აქტივების ზრდის მუხლით გადასახდელები მაღალი, 100.0%-იანი შესრულებით გამოირჩევა.

[1] „საქართველოს 2025 წლის ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლების, არაფინანსური აქტივების კლების და ფინანსური აქტივების კლების და საქართველოს 2025 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კვარტალური განხერხის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2024 წლის 30 დეკემბრის №434 ბრძანება.

შემოსულობების კომპონენტების დაგეგმილი და ფაქტობრივი მაჩვენებლები (მლნ ლარი)




გადასახდელების კომპონენტების დაგეგმილი და ფაქტობრივი მაჩვენებლები (მლნ ლარი)



2025 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის საოპერაციო სალდომ, 4 თვეში, 458.0 მლნ ლარი შეადგინა, ხოლო მთლიანმა სალდომ - -352.2 მლნ ლარი. მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია 2021-2025 წლების 4 თვის საოპერაციო სალდოსა და მთლიანი სალდოს მაჩვენებლები.

რაც შეეხება ნაშთის ცვლილებას, 2025 წლის დასაწყისისათვის, სახელმწიფო ბიუჯეტის ნაშთის მოცულობამ 1,386.2 მლნ ლარი შეადგინა. იანვარ-აპრილში მიღებული შემოსულობების და გაწეული გადასახდელების გათვალისწინებით, ნაშთის დაგროვება 233.1 მლნ ლარს გაუტოლდა და 2025 წლის 1 მაისისთვის, სახელმწიფო ბიუჯეტის ნაშთი 1,619.3 მლნ ლარის ოდენობით განისაზღვრა.


საოპერაციო სალდო და მთლიანი სალდო 2021-2025 წლების 4 თვეში (მლნ ლარი)



სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების აპრილის მარჯვენა მხარე

2025 წლის აპრილში, სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობებმა 2,042.1 მლნ ლარი შეადგინა, რაც მარტის მარჯვენა მხარეზე 357.8 მლნ ლარით ნაკლებია (ძირითადად, შემოსავლების შემცირების გავლენით), ხოლო წინა წლის აპრილის მარჯვენა მხარეს 12.5 მლნ ლარით აღემატება. რაც შეეხება 2025 წლის აპრილში სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაწეულ გადასახდელებს, მისი ოდენობა 2,066.3 მლნ ლარს შეადგენს, რაც მარტის მარჯვენა მხარეზე 51.5 მლნ ლარით ნაკლებია, ხოლო 2024 წლის აპრილის მარჯვენა მხარეს 56.9 მლნ ლარით ჩამორჩება.


სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობები და გადასახდელები, 2023-2025 წლებში თვეების მიხედვით (მლნ ლარი)



რაც შეეხება აპრილში სახელმწიფო ბიუჯეტში მიღებული შემოსულობებისა და გაწეული გადასახდელების კომპონენტებს:


შემოსავლების სახით 1,746.1 მლნ ლარია მიღებული (შემოსულობების 85.5%), ვალდებულებების აღების შედეგად შემოსული სახსრები 239.5 მლნ ლარს შეადგენს, ხოლო არაფინანსური და ფინანსური აქტივების კლების კომპონენტების მარჯვენა მხარე, შესაბამისად, 46.5 მლნ ლარს და 10.0 მლნ ლარს უტოლდება.

შემოსულობები თვეების მიხედვით (მლნ ლარი)




აპრილში გაწეული ხარჯების მოცულობა 1,734.3 მლნ ლარს შეადგენს, არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლით გადასახდელები 254.8 მლნ ლარს უტოლდება, ხოლო ფინანსური აქტივების ზრდისა და ვალდებულებების კლების კომპონენტების მარჯვენა მხარე - შესაბამისად, 3.2 მლნ ლარს და 73.9 მლნ ლარს.

გადასახდელები თვეების მიხედვით (მლნ ლარი)




საგადასახადო შემოსავლები თვეების მიხედვით (მლნ ლარი)



შემოსულობებში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია გადასახადების მიმოხილვა, რაზეც აპრილში მიღებული მთლიანი შემოსულობების 81.4% და შემოსავლების 95.2% მოდის. კერძოდ: სახელმწიფო ბიუჯეტმა, აპრილში, გადასახადებიდან, 1,662.5 მლნ ლარი მიიღო, მარტის მაჩვენებელზე 300.1 მლნ ლარით ნაკლები, რაც ძირითადად, მოგების გადასახადის სახით, მარტში, ბიუჯეტში 268.8 მლნ ლარით მეტი თანხის^[2] ჩარიცხვას უკავშირდება. წინა თვესთან შედარებით შემცირებულია, აგრეთვე, აქციზი (23.5 მლნ ლარით, ძირითადად, იმპორტირებული თამბაქოს დაბეგვრიდან სააქციზო შემოსავლის შემცირების გავლენით) და სხვა გადასახადი^[3] (34.8 მლნ ლარით). დანარჩენი სახის გადასახადები გაზრდილია: საშემოსავლო გადასახადი - 9.0 მლნ ლარით, დღგ - 16.4 მლნ ლარით და იმპორტის გადასახადი - 1.6 მლნ ლარით.

ხარჯები თვეების მიხედვით (მლნ ლარი)



ხარჯების სახით (რომელიც გადასახდელების ყველაზე დიდი კომპონენტია და მის 83.9%-ს შეადგენს), აპრილში, სახელმწიფო ბიუჯეტიდან 1,734.3 მლნ ლარი გაიწია, წინა თვის მაჩვენებელზე 92.6 მლნ ლარით ნაკლები, რაც ყველა სახის ხარჯის შემცირებას უკავშირდება (გარდა პროცენტისა და შრომის ანაზღაურების მუხლებით ხარჯებისა, რომელთა ფაქტობრივი მაჩვენებლებიც, შესაბამისად, 67.7 მლნ ლარით და 4.5 მლნ ლარით გაზრდილია). კერძოდ, სუბსიდიები შემცირებულია 64.6 მლნ ლარით, გრანტები - 6.2 მლნ ლარით, სხვა ხარჯები - 23.9 მლნ ლარით, საქონლისა და მომსახურების ხარჯები - 27.9 მლნ ლარით და სოციალური უზრუნველყოფის ხარჯები - 42.3 მლნ ლარით.


რაც შეეხება საოპერაციო სალდოს და მთლიან სალდოს, 2025 წლის აპრილში, სახელმწიფო ბიუჯეტის საოპერაციო სალდომ 11.8 მლნ ლარი შეადგინა, ხოლო მთლიანმა სალდომ - -196.4 მლნ ლარი. გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ აპრილში მიღებული შემოსულობებისა (2,042.1 მლნ ლარი) და გაწეული გადასახდელების (2,066.3 მლნ ლარი) გათვალისწინებით, წაშთის გამოყენებამ 24.2 მლნ ლარი შეადგინა.

[2] 31 მარტისთვის ხდება მოგების გადასახადის წლიური დეკლარაციის წარდგენა იმ პირთა მიერ, რომელთა საანგარიშო პერიოდია კალენდარული წელი.

[3] 2016 წელს სახაზინო კოდექსის სისტემაში განხორციელებული რეფორმის საფუძველზე, დეკლარაციის ვადის დადგომამდე გადახდილი გადასახადის აღრიცხვა ხორციელდება „სხვა გადასახადის“ მუხლში, საიდანაც დეკლარაციის ვადის დადგომის შემდეგ ხდება მათი გადატანა გადასახადის შესაბამის სახეში. ამასთან, ამავე მუხლიდან ხორციელდება თანხის გადატანა გადასახადების ზედმეტად გადახდილი თანხების დაბრუნების ქვეანგარიშზე, შესაბამისად, სხვა გადასახადის მაჩვენებელი კონკრეტულ საანგარიშო პერიოდში შესაძლებელია იყოს როგორც დადებითი, ისევე უარყოფითი სიდიდე.

სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობები

2025 წლის იანვარ-აპრილში, სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობებმა 8,693.3 მლნ ლარი შეადგინა. შემოსულობების ფორმირება, ძირითადად, შემოსავლებისა და აგრეთვე, ვალდებულებების ზრდის კომპონენტების ხარჯზე განხორციელდა, რომელთა წილობრივი მაჩვენებლებიც შემოსულობების, შესაბამისად, 85.7%-ს და 11.2%-ს უტოლდება. შემოსავლები, ნომინალურ გამოხატულებაში, 2023-2024 წლების ანალოგიურ მაჩვენებლებთან შედარებით, გაზრდილია, თუმცა მისი წილობრივი მაჩვენებელი შემოსულობებში შემცირებულია, ვალდებულებების ზრდის მუხლით შემოსულობები კი, გაზრდილია, როგორც ნომინალურ გამოხატულებაში, ისე წილობრივად შემოსულობებში. რაც შეეხება არაფინანსური და ფინანსური აქტივების კლების კომპონენტებს, 2025 წლის იანვარ-აპრილში, აღნიშნული შემოსულობების ჯამური წილი შემოსულობებში მცირეა და 3.1%-ს შეადგენს (2024 წელს 2.7%-ია, ხოლო 2023 წელს - 1.8%).




შემოსავლებს სახით, 4 თვეში, 7,446.5 მლნ ლარია მიღებული, 6 თვის გეგმის 65.6% და წლიური გეგმის 31.8%, წინა წლის მაჩვენებელზე 107.5 მლნ ლარით (1.5%-ით) მეტი. რაც შეეხება 6 თვის გეგმის შესრულებას შემოსავლების კომპონენტების მიხედვით, გადასახადები და გრანტები კარგი მაჩვენებლებით გამოირჩევა, ხოლო სხვა შემოსავლები შესრულების შედარებით დაბალი დონით ხასიათდება.

იანვარ-აპრილში მიღებული გადასახადები 7,091.0 მლნ ლარს, 6 თვის გეგმის 67.7%-ს და წლიური გეგმის 32.4%-ს შეადგენს. ცალკეული სახის გადასახადის მიხედვით, 6 თვის გეგმის შესრულების მაჩვენებლები 56.2% - 68.3%-ის ფარგლებშია (მ.შ. აქციზი - ყველაზე დაბალი და საშემოსავლო გადასახადი ყველაზე მაღალი მაჩვენებლით გამოირჩევა). რაც შეეხება სხვა გადასახადებს, აღნიშნული გადასახადის 6 თვის გეგმა 150.0 მლნ ლარით არის განსაზღვრული, ფაქტობრივად კი 379.1 მლნ ლარს შეადგენს. 2024 წლის ანალოგიური პერიოდის მაჩვენებელთან შედარებით, გადასახადები 217.3 მლნ ლარით (3.2%-ით) გაზრდილია, რაც ძირითადად, საშემოსავლო გადასახადის 14.5%-იან ზრდას, აგრეთვე, დღგ-ის (3.6%-ით) მატებას უკავშირდება.

წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, საშემოსავლო გადასახადის მატება დაკავშირებულია, ძირითადად, დამქირავებლის მიერ დაკავებული საშემოსავლო გადასახადის 264.0 მლნ ლარით (14.3%-ით) ზრდასთან. რაც შეეხება დღგ-ს, იანვარ-აპრილში, დღგ-ის სახით, სახელმწიფო ბიუჯეტში ჩაირიცხა 2,496.2 მლნ ლარი, წინა წელთან შედარებით 85.8 მლნ ლარით (3.6%-ით) მეტი (მ.შ. საქართველოს ტერიტორიაზე რეალიზებული პროდუქციიდან და გაწეული მომსახურებიდან დღგ გაზრდილია 3.6 მლნ ლარით, იმპორტირებული პროდუქციის დაბეგვრიდან - 82.2 მლნ ლარით). აქციზი, წინა წელთან შედარებით, 6.5%-ით (48.5 მლნ ლარით) შემცირებულია, როგორც ადგილობრივი (37.8 მლნ ლარით), ისე იმპორტირებული პროდუქციის დაბეგვრიდან (10.6 მლნ ლარით) აქციზის შემცირების გავლენით (მ.შ. იმპორტირებული თამბაქოსა და მსუბუქი ავტომობილების დაბეგვრიდან სააქციზო შემოსავალი, შესაბამისად, 10.3 მლნ ლარით და 7.3 მლნ ლარით შემცირებულია, ხოლო იმპორტირებული ბენზინის დაბეგვრიდან - 12.5 მლნ ლარით გაზრდილია).

სახელმწიფო ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლები 2024-2025 წლების 4 თვეში (მლნ ლარი)



გრანტების ფაქტობრივი მაჩვენებელი 66.9 მლნ ლარს, 6 თვის გეგმის 69.7%-ს და წლიური გეგმის 33.4%-ს შეადგენს. კერძოდ, გრანტების ძირითად ნაწილს (54.7%-ს) ცენტრალური ბიუჯეტის სსიპ-ებიდან, 36.6 მლნ ლარის ოდენობით (6 თვის გეგმის 52.3%), გრანტის სახით მიღებული შემოსავალი წარმოადგენს, საინვესტიციო გრანტები კი 8.5 მლნ ლარს უტოლდება (6 თვის გეგმის 32.7%). გარდა ამისა, ბიუჯეტში მიღებულია საბიუჯეტო ორგანიზაციებზე დონორების მიერ გამოყოფილ მიზნობრივი დანიშნულების გრანტები, 21.8 მლნ ლარის ოდენობით (აღნიშნული სახის გრანტი გეგმით არ გაითვალისწინება და შესაბამისად, გავლენას ახდენს გრანტების ჯამური მოცულობის ზრდაზე).

სხვა შემოსავლები, 4 თვეში, 288.7 მლნ ლარს უტოლდება, 6 თვის გეგმის მიმართ დაბალი, 37.5%-იანი მაჩვენებლით ხასიათდება (ძირითადად, საკუთრებიდან შემოსავლების საგეგმო მაჩვენებლის დაბალი, 22.1%-იანი, შესრულების გავლენით) და წლიური გეგმის 21.4%-ს შეადგენს, წინა წლის მაჩვენებელთან შედარებით კი, 53.7 მლნ ლარით (15.7%-ით) შემცირებულია, რაც ძირითადად, დივიდენდებს უკავშირდება (კერძოდ, სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით მოქმედი საწარმოების მოგებიდან, წინა წლის იანვარ-აპრილში, ბიუჯეტში 50.1 მლნ ლარი ჩაირიცხა, 2025 წელს კი მისი მიღება გათვალისწინებული არ არის). სხვა შემოსავლის ძირითადი ნაწილი (35.0%) საკუთრებიდან და არაკლასიფიცირებული ტრანსფერებიდან (32.6%) არის შემოსული (შესაბამისად, 101.1 მლნ ლარის და 94.2 მლნ ლარის ოდენობით).

არაფინანსური აქტივების კლების მუხლით შემოსულობები (117.2 მლნ ლარი) 6 თვის გეგმის 80.8%-ს და წლიური გეგმის 39.1%-ს შეადგენს, ხოლო წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს 56.2 მლნ ლარით (92.3%-ით) აღემატება. აღნიშნული შემოსულობების 59.9% (70.2 მლნ ლარი) ძირითადი აქტივების რეალიზაციიდანაა მიღებული, 40.1% (46.9 მლნ ლარი) - არაწარმოებული აქტივების რეალიზაციიდან (მ.შ. 34.8 მლნ ლარი - რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის ლიცენზიიდან შემოვიდა, 12.2 მლნ ლარი - მიწის რეალიზაციიდან).

ფინანსური აქტივების კლების მუხლით (გაცემული სესხების დაბრუნებიდან) შემოსულობები, 6 თვის გეგმის მიმართ, მაღალი, 93.6%-იანი მაჩვენებლით გამოირჩევა და 154.5 მლნ ლარს შეადგენს (წლიური გეგმის 38.6%), თუმცა წინა წლის მაჩვენებელს 6.9 მლნ ლარით (4.3%-ით) ჩამორჩება.


ვალდებულებების ზრდის მუხლით შემოსულობები, 4 თვეში, 975.1 მლნ ლარს, 6 თვის გეგმის 62.3%-ს (წლიური გეგმის 28.5%-ს) შეადგენს. მ.შ. თანხების ძირითადი ნაწილი შემოსულია საშინაო წყაროდან, კერძოდ, სახაზინო ვალდებულებების და სახაზინო ობლიგაციების რეალიზაციისა და დაფარვის შედეგად მიღებული წმინდა შემოსულობა 790.8 მლნ ლარს (6 თვის გეგმის 102.7%) შეადგენს.

საგარეო წყაროდან თანხები მთლიანად საინვესტიციო კრედიტების სახით არის მიღებული და 184.3 მლნ ლარს, 6 თვის გეგმის 23.2%-ს შეადგენს (ბიუჯეტის მხარდამჭერი კრედიტების სახით ბიუჯეტში თანხები არ შემოსულა, თუმცა 6 თვის გეგმით 270.0 მლნ ლარია გათვალისწინებული).

	4 თვის ფაქტი	6 თვის გეგმის შესრულების %	წლიური გეგმის შესრულების %
ვალდებულებების ზრდა	975.1	62.3%	28.5%
საშინაო	790.8	102.7%	49.4%
საგარეო	184.3	23.2%	10.1%
საბიუჯეტო კრედიტები	0.0	0.0%	0.0%
საინვესტიციო კრედიტები	184.3	35.0%	15.0%

სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელები


2025 წლის იანვარ-აპრილში, სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელებმა 8,460.2 მლნ ლარი შეადგინა. ძირითადი წილი, 82.6%-ის ოდენობით, ხარჯებზე მოდის, რომელიც როგორც ნომინალურ გამოხატულებაში, ასევე, წილობრივად გადასახდელებში, 2023-2024 წლებთან შედარებით, გაზრდილია. კერძოდ: 2023 წლის იანვარ-აპრილში, ხარჯების წილი გადასახდელებში 79.8%-ს შეადგენდა, ხოლო 2024 წლის იანვარ-აპრილში - 79.6%-ს. რაც შეეხება გადასახდელების დანარჩენ 3 კომპონენტს (არაფინანსური აქტივების ზრდას, ფინანსური აქტივების ზრდასა და ვალდებულებების კლებას), 2025 წლის იანვარ-აპრილში, მთლიან გადასახდელებში არაფინანსური აქტივების ზრდის კომპონენტის წილობრივმა მაჩვენებელმა 11.0% შეადგინა, ფინანსური აქტივების ზრდის მაჩვენებელმა - 1.6% და ვალდებულებების კლების მაჩვენებელმა - 4.8%. 2024 წლის იანვარ-აპრილში, მათი წილი გადასახდელებში გადანაწილებული იყო, შესაბამისად, 14.6%-ის, 1.0%-ის და 4.9%-ის ოდენობებით, ხოლო, 2023 წლის იანვარ-აპრილში - 14.1%-ის, 1.1%-ის და 5.0%-ის ოდენობებით.



მიმდინარე წლის იანვარ-აპრილში, ხარჯებმა 6,988.6 მლნ ლარი შეადგინა, რაც 6 თვის გეგმის 64.6% და წლიური გეგმის 32.0%-ია. 6 თვის გეგმასთან მიმართებით, პროცენტის (77.9%), სოციალური უზრუნველყოფისა (67.6%) და სხვა ხარჯების (64.3%) მუხლები შესრულების კარგი მაჩვენებლით გამოირჩევა, ხოლო საქონლისა და მომსახურების (55.2%), სუბსიდიების (59.0%), შრომის ანაზღაურების (61.0%) და გრანტების (61.1%) მუხლები შესრულების შედარებით დაბალი დონით ხასიათდება. ხარჯების მოცულობა, 2024 წლის 4 თვის მაჩვენებელთან შედარებით, 718.5 მლნ ლარით (11.5%-ით) გაზრდილია, რაც დაკავშირებულია ხარჯების თითქმის ყველა კომპონენტის (გარდა სუბსიდიებისა და საქონლისა და მომსახურებისა) მატებასთან, ძირითადად, სოციალური უზრუნველყოფის მუხლით გაწეული ხარჯების მნიშვნელოვანი (344.7 მლნ ლარით) ზრდის გავლენით.


პროცენტის მუხლით გაწეული ხარჯების მთლიანი მოცულობიდან (676.2 მლნ ლარი), საშინაო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურებაზე მიმართა 402.5 მლნ ლარი, საგარეო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურებაზე კი - 273.7 მლნ ლარი. რაც შეეხება სოციალურ უზრუნველყოფას (2,860.9 მლნ ლარი), აღნიშნული ხარჯების დიდი წილი გაიწია მოსახლეობის სოციალური დაცვისა (2,065.1 მლნ ლარი) და მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის (580.1 მლნ ლარი), აგრეთვე, დაგროვებითი საპენსიო სქემის თანადაფინანსების (165.0 მლნ ლარი) პროგრამების ფარგლებში.

სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯები 2024-2025 წლების 4 თვეში (მლნ ლარი)



არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლით გადასახდელები (927.4 მლნ ლარი) 6 თვის გეგმის 46.5%-ს და წლიური გეგმის 21.8%-ს შეადგენს. აღნიშნული გადასახდელების დიდი წილი საგზაო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების ღონისძიებებზე (363.9 მლნ ლარი) და თავდაცვის შესაძლებლობების განვითარებაზე (124.3 მლნ ლარი) მიიმართა. მნიშვნელოვანი თანხები დაიხარჯა, აგრეთვე, ზოგადსაგანმანათლებლო და სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების მშენებლობა-რეაბილიტაციაზე (70.8 მლნ ლარი), განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს ინფრასტრუქტურის განვითარებაზე (68.4 მლნ ლარი), თავდაცვის სამინისტროს ინფრასტრუქტურის განვითარებაზე (57.3 მლნ ლარი), საზოგადოებრივ წესრიგსა და საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარება/გაღრმავებაზე (48.8 მლნ ლარი), ტურისტული ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების ღონისძიებებზე (34.1 მლნ ლარი) და რეგიონული და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციაზე (33.0 მლნ ლარი).

ფინანსური აქტივების ზრდის მუხლით გადასახდელები (136.1 მლნ ლარი) 6 თვის გეგმის 100.0%-ს და წლიური გეგმის 32.1%-ს შეადგენს. აღნიშნული მუხლით განეული გადასახდელები გადანაწილებულია თავდაცვის სამინისტროზე (87.1 მლნ ლარის ოდენობით), ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროზე (12.6 მლნ ლარის ოდენობით), რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროზე (8.5 მლნ ლარის ოდენობით) და საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელებზე (27.8 მლნ ლარის ოდენობით).



ვალდებულებების კლების მუხლით გადასახდელები (408.2 მლნ ლარი) შესრულების დაბალი დონით ხასიათდება და 6 თვის გეგმის 57.1%-ს და წლიური გეგმის 28.8%-ს შეადგენს. აღნიშნული გადასახდელების დიდი ნაწილი, 398.1 მლნ ლარის ოდენობით, საგარეო სახელმწიფო ვალდებულებების დაფარვაზე მოდის.

	4 თვის ფაქტი	6 თვის გეგმის შესრულების %	წლიური გეგმის შესრულების %
ვალდებულებების კლება	408.2	57.1%	28.8%
საშინაო	10.1	40.3%	23.4%
საგარეო	398.1	57.7%	29.0%


აღსანიშნავია, რომ საქართველოს 2025 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით განსაზღვრული პროგრამული კოდების გარდა, 4 თვეში გაწეული გადასახდელები მოიცავს დამატებით 6 პროგრამულ კოდს, რომელთა ფარგლებშიც მოხდა სახსრების ათვისება:

- „მალაშენის დასახლებებში სამეწარმეო საქმიანობის ხელშეწყობის პროგრამა“ (პროგრამული კოდი - 31 05 22) - 0.8 მლნ ლარის ოდენობით;
- „ა(ა)იპ - მშვიდობის ფონდი უკეთესი მომავლისთვის“ (პროგრამული კოდი - 60 00) - 0.3 მლნ ლარის ოდენობით;
- „ა(ა)იპ - ათასწლეულის ფონდი“ (პროგრამული კოდი - 59 00) - 0.1 მლნ ლარის ოდენობით;
- „სსიპ - ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტი“ (პროგრამული კოდი - 58 00) - 41.8 ათასი ლარის ოდენობით;
- „საზღვაო ტრანსპორტის რეგულირება, მართვა და განვითარება“ (პროგრამული კოდი - 24 28) - 15.4 ათასი ლარის ოდენობით;
- „სახელმწიფო კლინიკების მართვა“ (პროგრამული კოდი - 27 03 05) - 7.5 ათასი ლარის ოდენობით.

რაც შეეხება სახელმწიფო ბიუჯეტით განსაზღვრული საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელებს, იანვარ-აპრილში, საგარეო და საშინაო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურებასა და დაფარვაზე 1,084.4 მლნ ლარი მიმართა, 6 თვის გეგმის 68.7% და წლიური გეგმის 34.4%. ავტონომიური რესპუბლიკებისა და მუნიციპალიტეტებისათვის გადაცემულმა ტრანსფერებმა 385.7 მლნ ლარი შეადგინა (საიდანაც 125.8 მლნ ლარი კაპიტალურ ტრანსფერს წარმოადგენს, 259.2 მლნ ლარი - სპეციალურ ტრანსფერს და 0.6 მლნ ლარი - მიზნობრივ ტრანსფერს). დაგროვებითი საპენსიო სქემის თანადაფინანსებაზე 165.0 მლნ ლარი მიიმართა. გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ მიმდინარე წლის საანგარიშო პერიოდში, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან და წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდიდან ათვისებულ იქნა თანხები, შესაბამისად, 154.3 მლნ ლარის, 5.8 მლნ ლარის და 0.5 მლნ ლარის ოდენობით.

იანვარ-აპრილში, სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსურ აქტივებზე ოპერაციების ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით გაწეულმა გადასახდელებმა 7,915.9 მლნ ლარი შეადგინა (6 თვის გეგმის 61.8% და წლიური გეგმის 30.3%). ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის ფაქტობრივი მაჩვენებლები ფუნქციონალურ ქრილში:


2025 წლის 4 თვის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის მაჩვენებლები ფუნქციონალურ ქრილში (მლნ ლარი)



სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელები სამინისტროების მიხედვით

2025 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის 4 თვის გადასახდელებიდან (8,460.2 მლნ ლარი), მხარტავ დაწესებულებებზე 6,789.4 მლნ ლარი მიიმართა, ხოლო საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელებზე - 1,670.8 მლნ ლარი (მთლიანი გადასახდელების 19.7%). თავის მხრივ, მხარტავი დაწესებულებების მიერ ათვისებული თანხებიდან, 6,434.2 მლნ ლარი (რაც მთლიანი გადასახდელების 76.1%-ს შეადგენს), სამინისტროების მიერ ათვისებულ სახსრებზე მოდის, ხოლო 355.3 მლნ ლარი - სხვა დანარჩენ მხარტავ დაწესებულებებზე (მთლიანი გადასახდელების 4.2%).

2025 წლის 4 თვეში გაწეული გადასახდელების სტრუქტურა (მლნ ლარი)



- სამინისტროები
- საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელები
- სხვა მხარტავი დაწესებულებები

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია 2025 წლის იანვარ-აპრილში სამინისტროების მიერ ათვისებული თანხები:

2025 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით სამინისტროებისათვის გამოყოფილი სახსრების ათვისება 4 თვეში (მლნ ლარი)

დასახელება	2025 წლის წლიური გეგმა	2025 წლის 6 თვის გეგმა	2025 წლის 4 თვის ფაქტი	6 თვის გეგმის შესრულების %	წლიური გეგმის შესრულების %
საქართველოს ფინანსთა სამინისტრო	121.0	72.7	42.0	57.7%	34.7%
საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	947.0	469.2	234.6	50.0%	24.8%
საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო	3,125.0	1,173.0	677.2	57.7%	21.7%
საქართველოს იუსტიციის სამინისტრო	442.0	208.7	118.6	56.8%	26.8%
საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	8,820.0	4,417.0	2,888.1	65.4%	32.7%
საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო	215.0	115.7	68.4	59.2%	31.8%
საქართველოს თავდაცვის სამინისტრო	1,730.0	1,027.1	650.4	63.3%	37.6%
საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო	1,395.0	700.0	441.4	63.1%	31.6%
საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო	808.1	410.5	229.4	55.9%	28.4%
საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო	3,085.0	1,538.1	915.4	59.5%	29.7%
საქართველოს კულტურის სამინისტრო	297.6	145.3	63.7	43.8%	21.4%
საქართველოს სპორტის სამინისტრო	298.4	175.7	105.1	59.8%	35.2%

საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ, მიმდინარე წლის იანვარ-აპრილში, სახელმწიფო ბიუჯეტიდან 42.0 მლნ ლარი აითვისა, რაც წლიური გეგმის (121.0 მლნ ლარი) 34.7%-ს და 6 თვის გეგმის (72.7 მლნ ლარი) 57.7%-ს შეადგენს.

ფინანსთა სამინისტროს, 2025 წლის იანვარ-აპრილის გადასახდელების ფაქტობრივი მაჩვენებელი აღემატება გასული, 2022-2024 წლების, ანალოგიურ მაჩვენებლებს. კერძოდ, 2022 წლის 4 თვის გადასახდელებმა 35.8 მლნ ლარი, 2023 წლის 4 თვის გადასახდელებმა 24.8 მლნ ლარი, ხოლო 2024 წლის 4 თვის გადასახდელებმა 36.6 მლნ ლარი შეადგინა.


მიმდინარე წლის იანვარ-აპრილში, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებების ათვისების მაჩვენებელი 234.6 მლნ ლარს შეადგენს, რაც წლიური გეგმის (947.0 მლნ ლარი) 24.8% და 6 თვის გეგმის (469.2 მლნ ლარი) 50.0%-ია.

სამინისტროს აღნიშნული გადასახდელები (234.6 მლნ ლარი) 2022-2024 წლების ანალოგიურ მაჩვენებლებზე მეტია.


2025 წლის იანვარ-აპრილში, საქართველოს ტრეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მიერ 677.2 მლნ ლარია ათვისებული, რაც სახელმწიფო ბიუჯეტით დამტკიცებული წლიური მოცულობის (3,125.0 მლნ ლარი) 21.7%-ს და 6 თვის გეგმის (1,173.0 მლნ ლარი) 57.7%-ს შეადგენს.

აღნიშნული სამინისტროს, საანგარიშო პერიოდის გადასახდელების ფაქტობრივი მაჩვენებელი (677.2 მლნ ლარი) 2022 წლის მონაცემს აღემატება, ხოლო 2023-2024 წლების ანალოგიურ მაჩვენებლებს ჩამორჩება.


ფინანსთა სამინისტროს მიერ ათვისებული ასიგნებების წლიური და 4 თვის მაჩვენებლები 2022-2025 წლებში (მლნ ლარი)



ეკონომიკის სამინისტროს მიერ ათვისებული ასიგნებების წლიური და 4 თვის მაჩვენებლები 2022-2025 წლებში (მლნ ლარი)



ინფრასტრუქტურის სამინისტროს მიერ ათვისებული ასიგნებების წლიური და 4 თვის მაჩვენებლები 2022-2025 წლებში (მლნ ლარი)



საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ, მიმდინარე წლის იანვარ-აპრილში, სახელმწიფო ბიუჯეტიდან ათვისებული ასიგნებების მოცულობა 118.6 მლნ ლარს შეადგენს, რაც სამინისტროს წლიური გეგმის (442.0 მლნ ლარი) 26.8%-ს და 6 თვის გეგმის (208.7 მლნ ლარი) 56.8%-ს უტოლდება.




იუსტიციის სამინისტროს, მიმდინარე წლის იანვარ-აპრილის გადასახდელები (118.6 მლნ ლარი), 2022-2023 წლების ანალოგიური პერიოდის მაჩვენებლებთან შედარებით, გაზრდილია, ხოლო 2024 წლის მაჩვენებელთან შედარებით - შემცირებული.

2025 წლის იანვარ-აპრილში სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაწეული მთლიანი გადასახდელების მესამედი (34.1%), 2,888.1 მლნ ლარის ოდენობით, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროზე მოდის, რაც სამინისტროსთვის დამტკიცებული წლიური გეგმის (8,820.0 მლნ ლარი) 32.7%-ს და 6 თვის გეგმის (4,417.0 მლნ ლარი) 65.4%-ს შეადგენს.

აღნიშნული სამინისტროს გადასახდელები, მიმდინარე წლის საანგარიშო პერიოდში (2,888.1 მლნ ლარი), 2022-2024 წლების ანალოგიურ მაჩვენებლებთან შედარებით, შესამჩნევად მომატებულია.


საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ, 2025 წლის იანვარ-აპრილში ათვისებული ასიგნებები 68.4 მლნ ლარს შეადგენს, რაც წლიური გეგმის (215.0 მლნ ლარი) 31.8%-ს და 6 თვის გეგმის (115.7 მლნ ლარი) 59.2%-ს უტოლდება.

აღნიშნული სამინისტროს გადასახდელები (68.4 მლნ ლარი), 2022-2023 წლების საანგარიშო პერიოდის მაჩვენებლებთან შედარებით, გაზრდილია, ხოლო 2024 წლის მაჩვენებლებთან შედარებით, შემცირებულია.




საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ, მიმდინარე წლის 4 თვეში, სახელმწიფო ბიუჯეტიდან ათვისებული ასიგნებების მოცულობა 650.4 მლნ ლარს, სამინისტროს წლიური გეგმის (1,730.0 მლნ ლარი) 37.6%-ს და 6 თვის გეგმის (1,027.1 მლნ ლარი) 63.3%-ს შეადგენს.

თავდაცვის სამინისტროს, 2025 წლის იანვარ-აპრილის გადასახდელები (650.4 მლნ ლარი) 2022-2024 წლების ანალოგიურ მაჩვენებლებს აღემატება.




საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ, 2025 წლის იანვარ-აპრილში, სახელმწიფო ბიუჯეტიდან 441.4 მლნ ლარი აითვისა, რაც სამინისტროს ასიგნებების წლიური გეგმის (1,395.0 მლნ ლარი) 31.6%-ს და 6 თვის გეგმის (700.0 მლნ ლარი) 63.1%-ს შეადგენს.

აღნიშნული სამინისტროს, მიმდინარე წლის 4 თვის გადასახდელების ფაქტობრივი მოცულობა (441.4 მლნ ლარი), 2022-2024 წლების ანალოგიური მაჩვენებლებთან შედარებით, შესამჩნევად მომატებულია.



საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ, მიმდინარე წლის იანვარ-აპრილში, სახელმწიფო ბიუჯეტიდან ათვისებულია 229.4 მლნ ლარი, რაც სამინისტროს წლიური გეგმის (808.1 მლნ ლარი) 28.4%-ს და 6 თვის გეგმის (410.5 მლნ ლარი) 55.9%-ს უტოლდება.


მოცემული სამინისტროს, 2025 წლის 4 თვის გადასახდელები (229.4 მლნ ლარი), 2022-2024 წლების ანალოგიურ მაჩვენებლებთან შედარებით გაზრდილია.



საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მიერ სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებების ათვისების 4 თვის მარჩვენებელი 915.4 მლნ ლარს, სამინისტროს წლიური გეგმის (3,085.0 მლნ ლარი) 29.7%-ს და 6 თვის გეგმის (1,538.1 მლნ ლარი) 59.5%-ს შეადგენს.

2025 წლის საანგარიშო პერიოდში, სამინისტროს გადასახდელები (915.4 მლნ ლარი), 2022-2024 წლების ანალოგიურ მარჩვენებლებს მნიშვნელოვნად აღემატება.

განათლების სამინისტროს მიერ ათვისებული ასიგნებების წლიური და 4 თვის მარჩვენებლები 2022-2025 წლებში (მლნ ლარი)




საქართველოს კულტურის სამინისტროს მიერ, 2025 წლის იანვარ-აპრილში, სახელმწიფო ბიუჯეტიდან ათვისებულია 63.7 მლნ ლარი, რაც სამინისტროს წლიური გეგმის (297.6 მლნ ლარი) 21.4%-ს და 6 თვის გეგმის (145.3 მლნ ლარი) 43.8%-ს შეადგენს.

რაც შეეხება საქართველოს სპორტის სამინისტროს, საანგარიშო პერიოდში, აღნიშნული სამინისტროს მიერ ათვისებული სახსრები 105.1 მლნ ლარს შეადგენს, რაც წლიური გეგმის (298.4 მლნ ლარი) 35.2% და 6 თვის გეგმის (175.7 მლნ ლარი) 59.8%-ია.

აღსანიშნავია, რომ 2025 წლიდან მოხდა კულტურისა და სპორტის სამინისტროს გაყოფა და ჩამოყალიბდა 2 სამინისტრო - კულტურის სამინისტრო და სპორტის სამინისტრო. აღნიშნული სამინისტროების მიერ, მიმდინარე წლის საანგარიშო პერიოდში, სახელმწიფო ბიუჯეტიდან ათვისებული ასიგნებების ჯამური სიდიდე (168.8 მლნ ლარი) 2022-2024 წლების ანალოგიურ მარჩვენებლებს აღემატება.

კულტურის სამინისტროსა და სპორტის სამინისტროს მიერ ათვისებული ასიგნებების წლიური და 4 თვის მარჩვენებლები 2022-2025 წლებში (მლნ ლარი)



*2025 წლის წლიური მარჩვენებელი (ლურჯი სვეტი) გულისხმობს 2025 წლის წლიურ დამტკიცებულ გეგმას.

დანართები

დანართი 1: სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება (მლნ ლარი)

დასახელება	2024 წლის 4 თვის ფაქტი	2025 წლის წლიური გეგმა	2025 წლის 6 თვის გეგმა*	2025 წლის 4 თვის ფაქტი	6 თვის გეგმის შესრულების %	წლიური გეგმის შესრულების %	%-ული ცვლილება წინა წლის 4 თვის ფაქტთან
შემოსულობები	8,345.8	27,560.8	13,221.6	8,693.3	65.8%	31.5%	4.2%
შემოსავლები	7,339.0	23,434.9	11,345.9	7,446.5	65.6%	31.8%	1.5%
გადასახადები	6,873.7	21,885.0	10,481.0	7,091.0	67.7%	32.4%	3.2%
საშემოსავლო გადასახადი	2,179.2	7,369.0	3,652.0	2,496.1	68.3%	33.9%	14.5%
მოგების გადასახადი	1,142.1	3,070.0	1,545.0	975.4	63.1%	31.8%	-14.6%
დღგ	2,410.4	8,136.0	3,816.0	2,496.2	65.4%	30.7%	3.6%
აქციზი	747.9	2,650.0	1,245.0	699.5	56.2%	26.4%	-6.5%
იმპორტის გადასახადი	44.8	150.0	73.0	44.7	61.3%	29.8%	-0.2%
სხვა გადასახადები	349.3	510.0	150.0	379.1	252.7%	74.3%	8.5%
გრანტები	122.9	199.9	96.0	66.9	69.7%	33.4%	-45.6%
სხვა შემოსავლები	342.4	1,350.0	768.9	288.7	37.5%	21.4%	-15.7%
არაფინანსური აქტივების კლება	60.9	300.0	145.0	117.2	80.8%	39.1%	92.3%
ფინანსური აქტივების კლება (ნაშთის გამოკლებით)	161.4	400.0	165.0	154.5	93.6%	38.6%	-4.3%
ვალდებულებების ზრდა	784.5	3,425.9	1,565.7	975.1	62.3%	28.5%	24.3%
საშინაო	438.7	1,600.0	769.7	790.8	102.7%	49.4%	80.3%
საგარეო	345.8	1,825.9	796.0	184.3	23.2%	10.1%	-46.7%
გადასახდელები	7,876.6	27,941.7	13,656.8	8,460.2	61.9%	30.3%	7.4%
ხარჯები	6,270.0	21,842.0	10,812.9	6,988.6	64.6%	32.0%	11.5%
შრომის ანაზღაურება	804.6	3,035.0	1,514.1	923.9	61.0%	30.4%	14.8%
საქონელი და მომსახურება	715.4	2,485.3	1,265.7	698.7	55.2%	28.1%	-2.3%
პროცენტი	548.3	1,745.0	867.8	676.2	77.9%	38.8%	23.3%
სუბსიდიები	362.3	1,021.6	537.0	316.7	59.0%	31.0%	-12.6%
გრანტები	471.6	1,856.5	850.0	519.1	61.1%	28.0%	10.1%
სოციალური უზრუნველყოფა	2,516.2	8,446.3	4,233.2	2,860.9	67.6%	33.9%	13.7%
სხვა ხარჯები	851.6	3,252.3	1,545.2	993.1	64.3%	30.5%	16.6%
არაფინანსური აქტივების ზრდა	1,148.9	4,258.9	1,992.4	927.4	46.5%	21.8%	-19.3%
ფინანსური აქტივების ზრდა (ნაშთის გამოკლებით)	75.1	424.1	136.1	136.1	100.0%	32.1%	81.2%
ვალდებულებების კლება	382.5	1,416.7	715.4	408.2	57.1%	28.8%	6.7%
საშინაო	12.7	42.9	24.9	10.1	40.3%	23.4%	-20.8%
საგარეო	369.9	1,373.8	690.5	398.1	57.7%	29.0%	7.6%
ნაშთის ცვლილება (+ დაგროვება / - გამოყენება)	469.2	-381.0	-435.2	233.1			

* 6 თვის გეგმა წარმოდგენილია 2025 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კვარტალური განხერხის მიხედვით (ფინანსთა მინისტრის 2024 წლის 30 დეკემბრის ბრძანება №434)

დანართი 2: სახელმწიფო ბიუჯეტის ბალანსი (მლნ ლარი)

დასახელება	2024 წლის 4 თვის ფაქტი	2025 წლის წლიური გეგმა	2025 წლის 6 თვის გეგმა	2025 წლის 4 თვის ფაქტი	6 თვის გეგმის შესრულების %	წლიური გეგმის შესრულების %	%-ული ცვლილება წინა წლის 4 თვის ფაქტთან
შემოსავლები	7,339.0	23,434.9	11,345.9	7,446.5	65.6%	31.8%	1.5%
გადასახადები	6,873.7	21,885.0	10,481.0	7,091.0	67.7%	32.4%	3.2%
გრანტები	122.9	199.9	96.0	66.9	69.7%	33.4%	-45.6%
სხვა შემოსავლები	342.4	1,350.0	768.9	288.7	37.5%	21.4%	-15.7%
ხარჯები	6,270.0	21,842.0	10,812.9	6,988.6	64.6%	32.0%	11.5%
შრომის ანაზღაურება	804.6	3,035.0	1,514.1	923.9	61.0%	30.4%	14.8%
საქონელი და მომსახურება	715.4	2,485.3	1,265.7	698.7	55.2%	28.1%	-2.3%
პროცენტი	548.3	1,745.0	867.8	676.2	77.9%	38.8%	23.3%
სუბსიდიები	362.3	1,021.6	537.0	316.7	59.0%	31.0%	-12.6%
გრანტები	471.6	1,856.5	850.0	519.1	61.1%	28.0%	10.1%
სოციალური უზრუნველყოფა	2,516.2	8,446.3	4,233.2	2,860.9	67.6%	33.9%	13.7%
სხვა ხარჯები	851.6	3,252.3	1,545.2	993.1	64.3%	30.5%	16.6%
საოპერაციო სალდო	1,069.0	1,592.9	533.0	458.0	85.9%	28.8%	-57.2%
არაფინანსური აქტივების ცვლილება	1,088.0	3,958.9	1,847.4	810.2	43.9%	20.5%	-25.5%
ზრდა	1,148.9	4,258.9	1,992.4	927.4	46.5%	21.8%	-19.3%
კლება	60.9	300.0	145.0	117.2	80.8%	39.1%	92.3%
მთლიანი სალდო	-19.1	-2,366.0	-1,314.4	-352.2	26.8%	14.9%	1747.5%
ფინანსური აქტივების ცვლილება	382.9	-356.9	-464.2	214.7	-46.3%	-60.2%	-43.9%
ზრდა	544.3	424.1	136.1	369.1	271.3%	87.0%	-32.2%
ვალუტა და დეპოზიტები	469.2	0.0	0.0	233.1			-50.3%
სესხები	73.9	421.7	133.6	48.9	36.6%	11.6%	-33.8%
აქციები და სხვა კაპიტალი	1.2	2.5	2.5	87.1	3556.8%	3556.8%	7322.5%
კლება	161.4	781.0	600.2	154.5	25.7%	19.8%	-4.3%
ვალუტა და დეპოზიტები	0.0	381.0	435.2	0.0	0.0%	0.0%	
სესხები	161.4	400.0	165.0	154.5	93.6%	38.6%	-4.3%
აქციები და სხვა კაპიტალი	0.0	0.0	0.0	0.0			
გაღდებულებების ცვლილება	402.0	2,009.1	850.3	566.9	66.7%	28.2%	41.0%
ზრდა	784.5	3,425.9	1,565.7	975.1	62.3%	28.5%	24.3%
საშინაო	438.7	1,600.0	769.7	790.8	102.7%	49.4%	80.3%
საგარეო	345.8	1,825.9	796.0	184.3	23.2%	10.1%	-46.7%
კლება	382.5	1,416.7	715.4	408.2	57.1%	28.8%	6.7%
საშინაო	12.7	42.9	24.9	10.1	40.3%	23.4%	-20.8%
საგარეო	369.9	1,373.8	690.5	398.1	57.7%	29.0%	7.6%
ბალანსი	0.0	0.0	0.0	0.0			

დანართი 3: სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებები (მლნ ლარი)

კოდი	დასახელება	2025 წლის წლიური გეგმა	2025 წლის 6 თვის გეგმა	2025 წლის 4 თვის ფაქტი	6 თვის გეგმის შესრულების %	წლიური გეგმის შესრულების %
00 00	სულ ჯამი	27,941.7	13,656.8	8,460.2	61.9%	30.3%
01 00	საქართველოს პარლამენტი და მასთან არსებული ორგანიზაციები	109.3	54.4	25.3	46.5%	23.2%
01 01	საკანონმდებლო საქმიანობა	91.5	45.4	20.6	45.4%	22.5%
01 01 01	საკანონმდებლო, წარმომადგენლობითი და საბედამხედველო საქმიანობა	38.4	18.8	7.7	40.9%	20.0%
01 01 02	საპარლამენტო ფრაქციების და პარლამენტის წევრების საქმიანობა	11.0	5.5	2.9	52.4%	26.2%
01 01 03	საკანონმდებლო საქმიანობის ადმინისტრაციული მხარდაჭერა	42.2	21.1	10.1	47.6%	23.8%
01 01 03 01	საკანონმდებლო საქმიანობის ადმინისტრირება	42.1	21.1	10.1	47.7%	23.9%
01 01 03 02	გენდერულ საკითხებზე სისტემური და კოორდინირებული მუშაობის უზრუნველყოფა, გენდერული თანასწორობის შესახებ ცნობიერების ამაღლების ხელშეწყობა და ქალთა გაძლიერების მხარდაჭერი ღონისძიებების განხორციელება	0.1	0.0	0.0	0.0%	0.0%
01 02	საბიბლიოთეკო საქმიანობა	15.6	7.8	4.0	51.5%	25.8%
01 03	ჰერალდიკური საქმიანობის სახელმწიფო რეგულირება	0.7	0.4	0.2	44.9%	24.0%
01 04	საქართველოს პარლამენტის ანალიტიკური და კვლევითი საქმიანობის გაძლიერება	1.4	0.7	0.5	65.7%	34.6%
02 00	საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია	10.0	5.7	1.7	30.2%	17.1%
03 00	საქართველოს ბიზნესომბუდსმენის აპარატი	1.0	0.5	0.3	57.9%	28.9%
04 00	საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია	29.0	15.9	7.4	46.8%	25.6%
05 00	სახელმწიფო აუდიტის სამსახური	25.3	15.7	6.6	41.8%	26.0%
06 00	საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია	129.1	35.2	13.7	38.9%	10.6%
06 01	საარჩევნო გარემოს განვითარება	33.3	18.3	9.5	52.2%	28.6%
06 02	საარჩევნო ინსტიტუციის განვითარების და სამოქალაქო განათლების ხელშეწყობა	2.3	1.5	0.6	40.2%	25.9%
06 03	პოლიტიკური პარტიების დაფინანსება	12.7	6.8	3.5	51.3%	27.4%
06 04	არჩევნების ჩატარების ღონისძიებები	80.8	8.7	0.1	1.0%	0.1%
07 00	საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო	6.8	3.5	1.8	50.7%	26.0%
08 00	საქართველოს უზენაესი სასამართლო	20.8	10.7	6.2	57.8%	29.6%
09 00	საერთო სასამართლოები	164.5	83.3	42.0	50.4%	25.5%
09 01	საერთო სასამართლოების სისტემის განვითარება და ხელშეწყობა	160.0	81.0	41.4	51.1%	25.8%
09 02	მოსამართლეებისა და სასამართლოს თანამშრომლების მომზადება-გადამზადება	4.5	2.3	0.6	26.2%	13.6%
10 00	საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო	12.6	7.4	2.3	30.5%	17.9%
11 00	სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია აბაშის, ზუგდიდის, მარტვილის, მესტიის, სენაკის, ჩხოროწყუს, წალენჯიხის, ხობის მუნიციპალიტეტებსა და ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტში	1.5	0.7	0.4	55.0%	27.6%
12 00	სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია ლანჩხუთის, ოზურგეთისა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტებში	1.2	0.6	0.3	52.9%	27.5%
13 00	სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია ბაღდათის, ვანის, ზესტაფონის, თერჯოლის, სამტრედიის, საჩხერის, ტყიბულის, წყალტუბოს, ჭიათურის, ხარაგაულის, ხონის მუნიციპალიტეტებსა და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტში	1.5	0.8	0.4	50.1%	28.0%
14 00	სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია ახმეტის, გურჯაანის, დედოფლისწყაროს, თელავის, ლაგოდეხის, საგარეჯოს, სიღნაღისა და ყვარლის მუნიციპალიტეტებში	1.3	0.6	0.4	60.1%	31.0%
15 00	სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია დუშეთის, თიანეთის, მცხეთისა და ყაზბეგის მუნიციპალიტეტებში	1.2	0.6	0.3	52.7%	26.7%

კოდი	დასახელება	2025 წლის წლიური გეგმა	2025 წლის 6 თვის გეგმა	2025 წლის 4 თვის ფაქტი	6 თვის გეგმის შესრულების %	წლიური გეგმის შესრულების %
16 00	სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია ამბროლაურის, ლენტეხის, ონისა და ცაგერის მუნიციპალიტეტებში	1.2	0.6	0.4	60.1%	31.2%
17 00	სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია ადიგენის, ასპინძის, ახალციხის, ახალქალაქის, ბორჯომისა და ნინოწმინდის მუნიციპალიტეტებში	1.1	0.6	0.3	60.9%	30.7%
18 00	სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია ბოლნისის, გარდაბნის, დმანისის, თეთრი წყაროს, მარნეულის, წალკის მუნიციპალიტეტებსა და ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტში	1.6	0.9	0.4	46.8%	25.9%
19 00	სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია გორის, კასპის, ქარელისა და ხაშურის მუნიციპალიტეტებში	1.2	0.6	0.3	50.8%	26.1%
20 00	საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური	226.0	118.5	63.7	53.8%	28.2%
20 01	სახელმწიფო უსაფრთხოების უზრუნველყოფა	174.0	89.5	50.9	56.9%	29.2%
20 02	ოპერატიულ-ტექნიკური საქმიანობის უზრუნველყოფა	48.4	26.6	12.1	45.5%	25.0%
